



ფედერაციის პრეზიდენტი

ბრატისკომპლექსი „დაზვიერდი“ ფურცლებზე საქართველოს საჭადრაკო ცხოვრების ძირითად მომენტებზე, თავის კომენტარს აკეთებს ფედერაციის პრეზიდენტი ნინო გურიამია.

იპლისში საქართველოს ჯადრაკის ფედერაციამ დაამთავრა სპორტული კალენდრით გათვალისწინებული თითქმის ყველა შიდა ღონისძიება. უკვე ცნობილია ვაჟთა და ქალთა საკლუბო გუნდები, რომლებიც ევროპის კლუბების თასისთვის იბრძობებიან. ფედერაციის მუშაობის ძირითადი აქცენტი ამჟამად მიმართულია ფიდეის ეგიდით გამართულ ტურნირებში, ჩვენი მოჭადრაკეთა წარმატებით მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის. ქვეყანაში შექმნილი სერიოზული ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, ჩვენ ბევრი ადამიანის თანადგომის იმედი გვაქვს, რათა ღირსეულად დაეხმარათ მიმდინარე წელიწადში.

ამ მზუნველ დასტურს იყო საქართველოს მოჭადრაკეთა ოლიმპიური ნაკრების წევრებისათვის პრემიების გაცემა. მათი სახელით მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მსოფლიო სპორტის ოლიმპიადებზე ვაჭადრაკეთა გამოსვლის მადლიერ შეფასებისთვის. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის წვლილი ქართული ჯადრაკის განვითარებაში ფასდაუდებელია.

მადლობას ვუხდით უფროსი დავით რამიშვილს, რომელმაც უზრუნველყო პრეზიდენტის განცხადებების შესრულება. საჭადრაკო სამყარო აფასებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეტეხიაშვილის ჯადრაკისადმი ყოველდღიურ მზრუნველობას. ევროპის ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატის ბარაჟიანი მონაგარის შემდეგ ფედერაციის ყულობას კიდევ ერთი ოქროს მედალი შეემატა – ნანა ძაგნიძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 20 წლის გოგონათა შორის. ამ წარმატებამ ნანას ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ციკლის საგზური მოუტანა. საერთოდ, ეს წელიწადი ძაგნიძისთვის ერთობ წარმატებული აღმოჩნდა. დასაბამი, მხოლოდ ის, რომ ნანას ევროპის ქალთა ჩემპიონატში არ გაუმართლა და წაუგებდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური სტადიის მიღმა დარჩა. საქართველოს ჯადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე შე-

ჯამდა განვილი შეჯიბრების შედეგები. აღინიშნა ქართული ჯადრაკის მიღწევები. გამგეობის წევრებმა განიხილეს მიმდინარე საკითხები. როგორც ცნობილია, შემოდგომაზე ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ევროპის გუნდური ჩემპიონატია დაგეგმილი. ფედერაციის გამგეობის სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობა. გუნდს სათავეში ჩაუდგება მია ჩი-

მინდა ვუთხრა გუნდის ლიდერებს მია ჩიბურდანიძეს და მურაბ ამმაიფარაშვილს საბრძოლო განწყობისათვის. მათ სომ ევროპის გუნდურ ჩემპიონატში 1997 წლის შემდეგ აღარ უასპარეზობიათ.

ჯადრაკის გულშემატიკეებმა კარგად იციან, იმ წარმატებების შესახებ, რასაც ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკეები აღწევენ ევროპის და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში. წლების განმავლობაში მათი სამღვაწეო მიზანმიმართული მუშაობის ხარჯებს საქართველოს განათლების სამინისტრო იხდობდა. სამწუხაროდ, წლებს ეს არ მოხერხდა. შექმნილ სიტუაციაში გადაწყვიტეთ ახალგაზრდების გურნირებში მივლინება მათი რეგიონის შესაბამის სამსახურებს ვთხოვთ.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნაღარევილის მიმართ. ბაგონმა თამაზმა დახმარება აღგვიტოვა ლტოლვილი მოჭადრაკეების ჩემპიონატზე მივლინებისას.

ამ საკითხში დიდი თანადგომის იმედი გვაქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან. აჭარაში ჯადრაკის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია საჭადრაკო ფესტივალი, რომელსაც ბათუმი მასპინძლობს.

ევროპის ასაკობრივი პირველობა იუგოსლავიაში გაიმართება, მსოფლიოს კი – საბერძნეთში. ამ უკანასკნელში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი იქნება საქართველოს ჯადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იმერეთის ჯადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე გოგი ქუბიაშვილი.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს ქუთაისის მერის ნუგზარ ფალიანის და ვიმელოვანთა, რომ ახალგაზრდა ქუთათურნი მოჭადრაკეები ამ მნიშვნელოვან ასპარეზობებში კარგი თამაშით გადაუხდინან მადლობას მოამბეგებენ.

ასევე დარწმუნებულები ვართ, რომ სამგრედიის გამგეებელი მერაბ სკურუა დახმარებას აღმოუჩენს მსოფლიო ჩემპიონატის შარშანდელ პრიზიორს დათო ჯოჯუას. ჯადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე პირველად გაცხადდა იდეა სპორტული გმირობისათვის ოქროს მედალი დაწესების შესახებ. ეს ჯილდო გადაეცემათ მოჭადრაკეებს, რომლებიც დაწყებული 2003 წლიდან, ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვან შედეგს აჩვენებენ და იმ სახელმწიფო და სამოგადრო მოღვაწეებს, ვინც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანეს ქართული ჯადრაკის განვითარებაში.

თვიდან თვეაღა



ბურდანიძე. ნაკრებში მოწვეულია ნანა ძაგნიძე, როგორც წლევეანდელი წლის საქართველოს ჩემპიონი. წინასწარ გადაწყვეტილი კრიტერიუმით, ახალგაზრდებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგის გამო, ნაკრებში ნინო ხურციძეს ვიხილავთ. სათადარიგო წევრად დამო-

ტკიცდა მია ლომინიძე. გუნდის კაპიტანის ფუნქციას შეასრულებს საერთაშორისო ოსტაგი ხვიჩა სუპატაშვილი.

მიმართა, რომ ნაკრებს ამ შემადგენლობით ძალუძს ევროპის ჩემპიონატში ღირსეულად გამოსვლა. ასევე იმედინად გამოიყურება საქართველოს ვაჟთა ნაკრებიც, ევროპის წლევეანდელი ჩემპიონის მურაბ ამმაიფარაშვილის მეთაურობით, გუნდის ორი წევრი საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით შეირჩა. ესენი გახლან ბაბურჯიანი და გიგა ყაჭვიშვილი. ახალგაზრდებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგის გათვალისწინებით გუნდში მოწვეულია მერაბ გაგუნაშვილი. გამგეობის გადაწყვეტილებით, ნაკრების მეხუთე წევრი გახდა მიხეილ მჭედლიძე. სათადარიგო მოჭადრაკის ვინაობა შავი მღვის საჭადრაკო ფესტივალის დამთავრების შემდეგ გაირკვევა. ნაკრების კაპიტანია დილოსტაგი მურაბ სკურუა.

ჩვენ ვეზმადებით ევროპის გუნდური ჩემპიონატისთვის და უკვე ვფიქრობთ 2004 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე. მადლობა

ბათუმი-2003

მსე, ზღვა, ქიმი და სსკა

ღერჯან მთლიანად გალდავი ყოველთვის ანდამაგვიით იმდავს ადამიანებს, განსაკუთრებით – მათსულში. მართალია, ივლისი წლეულს არც ისე ცხელი აღმოჩნდა, მაგრამ მღვისპირეთს დამსვენებლები მაინც არ აკლავს. თუმცა, ყველა როდი ნებავთობს: ზოგს საქმე აქვს და სასიამოვნოს სასარგებლოს უხამებს. განსაკუთრებით ეს ითქმის შავი მღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალის მონაწილეებზე. ბრძენთა



თამაშის მოყვარულთა ამ ფორუმს, რომელშიც ოთხ გურნირს აერთიანებს, წლეულს, მესამედ მას-

პინძლოს მშეური აჭარის დედაქალაქი ბათუმი. **იხ. გვ-6 გვ.**

ცინცხალი აზგავი

საზსური — ჯობავას

ბათუმი ბათუმის ჯადრაკის სახელმწიფო დაზვიერდი მღვის აუზის ქვეყნების მოჭადრაკეთა ჩემპიონატია. ვაჟთა შორის 7,5 წლით ადგილი გალელმა დილოსტაგმა ბაბურჯიანმა დაიკავა და წლევეანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ერთეულთი საგზურიც დაიმსახურა. 7-7 წლით II-III ადგილებზე სომეხი არ-

გაშეს მინასიანი და უკრაინელი ანდრეი ვოლოკინი გავიდნენ. ქალბში ყველას სომეხმა დილოსტაგმა ლლით მკრტჩიანმა აჯობა. მართალია, გურჯაანელმა მაკა ფურცელაძემ და ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ მის მსგავსად 6-6 ქულა მოაგროვეს, მაგრამ უარესი კოეფიციენტით შესაბამისად II-III ადგილები გაიყვეს.



თვის ლაურატი

ოქროს მედალიც, ჩემპიონატის საგზურიც



გამარჯვა და თერთმეტი შესაძლებელიდან 9,5 ქულით ოქროს მედალთან ერთად საგაბისოდ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც დაიბევა.

ნანა ძაგნიძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონა სხვადასხვა ასაკში. ორ-ორჯერ მსოფლიო და ევროპის პირველობებზე გაიმარჯვა. მარშან 20 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე მეორე იყო, დსო-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჯაბუკეთა საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე – პირველი, ევროპის ქალთა საკლუბო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

წლეულს, 18 და 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობებზე ყველას აჯობა, შემდეგ ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში გაიმარჯვა (2001 წლის ვიცე-ჩემპიონია). სწავლობს ქუთაისის სპორტული ლიეუმის XI კლასში.

ნახტევანში მსოფლიო პირველობაზე ნანას 2 ქულით ჩამორჩა რუმინელი ქრისტინა გალოტესკუ, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. მართალია, 7,5 ქულა აზერბაიჯანელმა ზეინაბ მამედიაროვამაც მოაგროვა, მაგრამ იგი უარესი კოეფიციენტით „ბრინჯაოს“ დასჯერდა. სამაგიეროდ, იყორალა მისმა ძმამ – შაპრიარ მამედიაროვმა, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა ბელორუსი სერგეი ამაროვი, მესამე იყო უკრაინელი ალექსანდრ მუხოვი. ქართველი მოჭადრაკე ვაჟბი სამეულს მიღმა აღმოჩნდნენ: ლევან ფანცულაია X ადგილზე გავიდა, მვიად იმორია – მეოთხთმეებზე, გიგა ყუფარაძე კი XXI ადგილით დაემაყოფილა.

ლიტო ცინცხაძე.

სურათში: ნანა ძაგნიძე.

მათა ღანეშის ფოტო.

მატრი

„ნცნ“-ი საბერძნეთში ითამაშებს

საქართველოს ქალთა საკლუბო გათამაშებაში წლეულს ორი გუნდი მონაწილეობდა: შარშანდელი გამარჯვებული „ნცნ“-ი (გუნდის კაპიტანი ნანა ალექსანდრია, ნანა ძაგნიძე, მია ლომინიძე, ლევა ჯაგახიშვილი, ანა მათნაძე, სოფიკო გვეგაძე) და თბილისის „სანრო“ (გუნდის კაპიტანი თამაზ გიორგაძე, ნინო ხურციძე, სოფიკო ნიკოლაძე, სოფიკო გყეშელაშვილი, სოფიკო გერგელაძე, ინგა ჯარხალაშვილი). ორწრიან მატრიში შეხვდნენ ერთმანეთს.

სოფიკო ნიკოლაძემ ლევა ჯაგახიშვილთან, ინგა ჯარხალაშვილმა – სოფიკო გვეგაძესთან „ნცნ“-იდან ისევე ანა მათნაძემ იმარჯვა. ყველაზე ბოლოს დამთავრდა მია ლომინიძის და ნინო ხურციძის პარტია. ლომინიძე იმედიანად ვერ მოახერხა უპირატესობის რეალიზაცია, პარტია ყაბით დამთავრდა და შესაბამისად მატრის ანგარიში 4:4 გახდა.

პირველ დღეს „ნცნ“-ი დაწინაურდა 2,5:1,5. მართალია, პირველ დღეაზე ნანა ძაგნიძე დამარცხდა ნინო ხურციძესთან, მაგრამ მია ლომინიძე იმედიანად ანა მათნაძემ სასწორი თავისი გუნდის მხარეზე გადაწონეს.

მეორე დღეს „სანრომ“ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. გაიმარჯვეს

პრადტიკა

ფინიშზე ვნებათაღელვის პირობებში



სტამბოლში (თურქეთი) მოჭადრაკე


ქალთა ევროპის ჩემპიონატში უძლიერესის სახელისა და მსოფლიო პირველობის ლიცენზიების (საგმურების) ბედ-იღბალი ფინიშზე გადაწყდა.

ბოლო სამი ტურის წინ ნინო ხურციძეს და ნანა ძაგნიძეს 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ, მანა ლომინიძე იწინააღმდეგებოდა, ანა მათნაძეს - 5,5, სოფიო გყემულაშვილს - 4,5. მხოლოდ მას, ვინც ორი ქულის მოგროვებას შეძლებდა, ლიცენზიის მოპოვების რეალური შანსი ექნებოდა.

ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას თავი გაართვეს ლომინიძე ილია, ჯაფარიძე ილია, მათნაძე და გყემულაშვილი.

ი. ჯანიცია — ვ. ლომინიძე

სტამბოლში, 11 ივნისი, 2003.



შავეების მდგომარეობა მძიმეა. მათ პაიკი აკლიათ. მაგრამ თერთნე ვერ აგნებენ მოგების გზას. შავეების ერთადერთი იმედია h2 პაიკის სისუსტე, რასაც მანა ოსტაგურად იყენებს.

- 48. ... გ5 49. f3 კ1 50. გ4? ხ8 51. ე7 მფ6 52. ე6 კ2! 53. მფ4 კ4 54. კ3 ედ8 55. ხ4 ედ1 56. ე5 ხ2 57. ხა კ3 58. ე8 ხ2 59. ეხ8 კ4! 0:1.

დიდი სულიერი სიძლიერე გამოავლინა 19 წლის ჯაფარიძე ილიამ. ორი ყაიმის შემდეგ (ერთი რუსეთის მრავალგზის ჩემპიონ ე. კოვალევისკაისთან) შეუპოვარ ჭიდილში სძლია რუმინელ დიდოსტატ ი. იონესკურს და დიდოსტატის კიდევ ერთ ბალს დაეუფლა.

ლ. ჯაფარიძე — ი. იონესკა

სტამბოლში, 13 ივნისი, 2003.



25.d4! ვიდრე შავეები ახალი ძალით განაგრძობენ იერიშს მეფის ფრთაზე, ჯაფარიძე ილია ცენტრში კონკრეტულად მას იწყებს.

- 25. ... გ5 26. მფ6 ლგ7 27. ე1 ხ6 28. კ4 გ4 29. ხგ ედ7

აუცილებელი იყო 29. ... კ3. რუმინელს ლეღას შენობული კომბინაცია გამოერჩა.

- 30. კ7! ლ7 31. ე6! ხ6 32. ლდ4 ე6 33. ლე6 ლე6 34. ე6 მფ6 35. ე5. 1:0.

მათნაძის საგმურის ბედს დასჯენით ტურში გადაწყდა. ამ დღეს მან თავისიანს ს. გვეგაძეს მოუგო. მანამდე კი ორჯერ შეხვედრა ყაიმით დაასრულა. გთავაზობთ მის ერთ-ერთ შინაარსიან პარტიას ამერბაიჯანულ დიდოსტატ მ. მამედაროვისთან.

ნ. მათნაძე — მ. მამედაროვა

სტამბოლში, 6 ივნისი, 2003.

- 1. d4 e5 2. d5 e5 3. გ3 d6 4. e3 გ6 5. ხ4 ხ5 6. e4 ხ6 7. a4 კ7 8. კ3 0-0 9. ე8 ლ8 10. მ3 ა6 11. მფ5 ლგ4 12. f3! ლგ3 13. მფ1 მგ4 14. ფგ f5 15. ef ხგ 16. მე2 აf5 17. ე4 ლ3 18. ეა3 ეფ4 19. მ4 ლ4 20. მფ2 მდ7 21. ე1 ლ4 22. ე3 ლა4 23. ხ3 ლდ4 24. ემ3 ლხ2 25. მე4 ხ5 26. ედ2 e4 27. ლგ4 მფ8 28. ხ5 eხ 29. eხ ლხ3 30. ე3 ლ4 31. ხგ ეხ6 32. გ7 მდ7 33. ლდ7 ლე4 34. ლე7. 1:0.

მეცხრე ტურში გყემულაშვილი პარტია რომ წააგო, მერე მედიდელ ორი უძნელესი პარტია მოიგო, მაგრამ მაინც თაიბრეიკში გამარჯვება დასჭირდა, საგმურს რომ დაუფლებოდა. გთავაზობთ მის ფინალურ იერიშს მეათე ტურდან.

ბ. კაზიოლა — ს. ტყეშელაშვილი

სტამბოლში, 12 ივნისი, 2003.



26. ... ე1! გყემულაშვილი ხარისხს სწორავს თერთნე გვირგვინის დასაღამურებად.

- 27. ე8 ეა8 28. ე1 მ4 29. ლე5 მგ2 30. ედ1 მ3 31. ლგ3 მფ3 32. მფ1 f4 33. ლგ2 მდ2 34. ედ2 კგ2 35. მფ2 f3 36. მფ1 ლგ6 37. ედ7 ლგ2 38. მფ1 ლგ1. 0:1.

არ გაუმართლა საქართველოს ჩემპიონს ნანა ძაგნიძეს, რომელიც ფინიშზე ჩემპიონობის მთავარ მაძიებლებს კრამლინგს და პეპანს შეხვდა, ამ დროს კი საკმაოდ დაღლილი ჩანდა. სამწუხაროდ, ნანა ამჟამად დაშვრა.

ახლა წინაა მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატი, რომელიც ნოკაუტ-სისტემით გაიმართება. საქართველოდან მასში ითამაშებენ მსოფლიოს ექსტრემ-პიონი მ. ჩიბურდანიძე, ნ. ხურციძე (ამის უფლება ევროპის წინა პირველობაში მოიპოვა), მ. ლომინიძე, ლ. ჯაფარიძე, ა. მათნაძე და ს. გყემულაშვილი. როდის და ვინ უმასპინძლებს ამ ჩემპიონატს, მოგვიანებით გამოცხადდება.

თინათინ გიორგაძე.

ბათუმი-2003

(მსოფლიო)

სასიამოვნოა, რომ, მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად, ავტონომური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შეძლო უკვე გრადიცი-ადქვეული შეჯიბრების დაფინანსება. საგულისხმოა ისიც, რომ „ომეგა ჯგუფმა“ მაღალპოლიტიკურ დონეზე უფასოდ დაბეჭდა ფესტივალისთვის საჭირო ატრიბუტიკა, ხოლო ფირმა „ჯეოსელმა“, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის წინ ხელმეკრულება გააფორმა ფიდეს ვიცე-პრეზიდენტთან, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჭადრაკის ასოციაციის პრეზიდენტ მურაბ აზმაიფარაშვილთან, ფესტივალის მშენებლობის 120 მისური უფასოდ დაურიგა ყმაწვილებს, 80 ასეთი მისური კი შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატის მონაწილეებმა მიიღეს საჩუქრად.

ახლა, რაც შეეხება თვით ასპარეზობას. შეიდი დღის განმავლობაში შევიცარული სისტემით ევროპის 8-დან 16 წლის ასაკის გოგო-ბიჭები. საქართველოს, თურქეთის, ამერბაიჯანისა და სომხეთის 352 წარმომადგენელი იბრძოდა პირველობისთვის. ორი წლის წინათ კი მათი რაოდენობა 150-ს არ აღემატებოდა.



ვიგა საპრიზო ადგილების ბედი. პირველობა თონა მესსს ხვდა, მირანდა მიქაძე მეორე ადგილზე გავიდა. მე მესამე ვიყავი, მაგრამ გული მაინც არ მწყდება, რადგან ამ ტურნირზე თამაში ჩემთვის მოსამზადებელი ეტა-

ლა - თბილისი). ვაჭები. 1. ალამ მაშელაი (ამერბაიჯანი), 2. ლევან ბრეგაძე (თბილისი), 3. ვივია ფაცია (ზუგდიდი).

თონა მესსი (თბილისი), 2. მირანდა მიქაძე (ბათუმი), 3. თამარ განუკიძე, ვაჭები. 1. გიორგი მარგველაშვილი, 2. თორნიკე სანიკიძე (ყველა - თბილისი), 3. გაიომ ნიგალიძე (ბათუმი).

თამარ ნიგალიძე. გოგონები. 1. ბელა ხოგენაშვილი (თელავი), 2. მაკა ფურცელაძე (გურჯაანი), 3. სალომე მელია (ბათუმი). ვაჭები. 1. დავით მაღალაშვილი (გორი), 2. დავით ბარქუა, 3. რევაზ კორძია (ორივე - თბილისი).

მოჭადრაკეთა შედეგების მიხედვით გამოვლინდა საუკეთესო მწვრთნელთა სამეული: 1. ლაშა ჯანაჯანაძე, 2. ალექსანდრე ყაზაშვილი, 3. გიორგი მაჭარაშვილი. მწვრთნელთა ტურნირში ლეღა თანდაშვილი და გივი გოგინაშვილი გაიმარჯვეს, მშობელთა პაექრობაში კი მამყვალა ხანთაძემ და რევაზ იმორიამ იყონადეს.

ასპირანტი ტურნირის დამთავრების შემდეგ ფესტივალის მთავარი შეჯიბრება - შავი ზღვის აუზის ქვეყნების ქალ-ვაჭათა ჩემპიონატი დაიწყო, რომელშიც საქართველოს, უკრაინის, თურქეთის, მოლდოვის, სომხეთის, ამერბაიჯანის და აზერბაიჯანის შვერტული შტატების 151 წარმომადგენელი იბრძვის პირველობისთვის. მათ შორის 17 დიდოსტატია (10 მამაკაცი და 7 ქალი) და 16 საერთაშორისო ოსტატი. ტურნირი შევიცარული სისტემით 9 ტურად იმართება. ქალები და ვაჭები ერთად თამაშობენ, მაგრამ გამარჯვებულები და პრიზორები ცალკე გამოვლინდება, მით უმეტეს, რომ ვაჭათა შორის პირველ ადგილზე გასული წლევეანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საგმურს მიიღებს (2001 წელს შილას პრემიუმის მიერ ანალოგიური შეჯიბრებისთვის გამოყოფილი 1 საგმური სვიმა სუპერგამაშვილია მოიპოვა).

შეჯიბრების მონაწილეები 26 ივლისს სწრაფ ჭადრაკში „მეფე აბაშიძის მემორიალში“ ასპარეზობენ, ხოლო 27 ივლისს გაიმართება ბლიც-ტურნირი „აღორძინების“ თანხა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალი საზეიმოდ დაიხურება.

ვაშა დანიელი, „სრ“ საუბ. კორ. ბათუმი.

მსე, ზღვა, ქიმი და სსკ



ბელა ხოგენაშვილი.



თამარ ნიგალიძე.

პაექრობებიც უფრო მწვავე და მიმდევრული იყო.

ბელა ხოგენაშვილი (თელავი): თქვენს მემორიალში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოუყარა თავი. დაძაბული ტურნირი გამოდგა. წლეულს პირველად ვითამაშე ამ ფესტივალში (მარშან მოსკოვში დღეს-სა და ბალკისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდა ათლეტთა სპორტულ თამაშებში ვიასპარეზე და ბათუმში ჩამოსვლა ვერ შეეძლო) და მიხარია, რომ დებიუტი გამარჯვებით აღვინიშნე, თუმცა, ეს არ იყო იოლი, რადგან მე და გურჯაანელმა მაკა ფურცელაძემ თანაბარი ქულები მოვაგროვეთ და მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტით ვაჯობე მას.

დიდი მადლობა წევრების ორგანიზატორებს ამგვარი ტურნირის გამართვისათვის. თამარ ნიგალიძე (თბილისი): თონა მესსს მიმართული იყო 5-5 ქულა. აქვე კოეფიციენტმა გადაწყ-

პი იყო მსოფლიო პირველობისთვის, რომელსაც ოქტომბერში კალითა (საბერძნეთი) უმასპინძლებს. ამასთანავე, მე და ჩემმა მეგობრებმა მღვაშიც ბევრი ვიჭყუპმალავეთ და თბილისში გარუჯულები დაგვრუნდებით...

ახლა კი გაწყვეთ პრიზორთა ვინაობას ასაკების მიხედვით: რეზულტატები. გოგონები: 1. ანა მარდალიშვილი (ქუთაისი), 2. ნინო ანაკიძე (ფოთი), 3. ანა შამათაია (ქუთაისი). ვაჭები: 1. ილია ხეივია (ზუგდიდი), 2. მურაბ ესიავა (ფოთი), 3. ვაშა მიმისგარაშვილი (ზუგდიდი).

ბუნაშვილი. გოგონები: 1. ნაზი პაკიძე, 2. ნათია ჯალაბაძე (ორივე - თბილისი), 3. ნინო მეფარიძე (ქუთაისი). ვაჭები. 1. გიორგი გოჯიაშვილი, 2. გიორგი ნიკოლაშვილი (ორივე - თბილისი), 3. გიორგი ალმასია (ზუგდიდი).

თორნიკე მელია. გოგონები: 1. ქეთი წაწალაშვილი, 2. სალომე ხაქოშია, 3. სოფიო გურამიშვილი (ყვე-



„გამაერთიანებელი მატჩები“ მრავალი სიძნელე



მიმდინარე წლის დასაწყისიდან მოყოლებული, ფიდეის პრემიერმა კირსან ილიუმენოვმა არაერთი საინტერესო აქცია განახორციელა. მათი საბოლოო მიზანია საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება. პრადის შეთანხმებების შედეგად, რომლის წინააღმდეგი დასაწყისში თითქმის არავინ იყო 2003 წლის მეორე ნახევარში უნდა გამართულიყო. ჯერ ორი მაგნიტური ტურნირი (კრამნიკო-ლეკო და პონომაროვი-კასპაროვი) შორის, ხოლო შემდეგ ე. წ. გამაერთიანებელი ორთაბრძოლა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის გამოსავლენად.

დებით, რამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია, რაგომ თამაშობს მაინცდამაინც კასპაროვი, რა უფლებით?! იგი მსოფლიო ჩემპიონი აღარ არის, შესარჩევ ტურნირში არ გაუმარჯვია. როცა პონომაროვი „გაახსენეს“, რომ კასპაროვი რეგისტრირებული მსოფლიო პირველი მოჭადრაკეა, მაშინ თქვა, რომ „დეე თამაშობს“, ოღონდ პრეტენდენტის უფლებით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ მაგნიტური ტურნირი, ყაიმით დასრულდებოდა, მაშინ ფინალურ გამაერთიანებელ ორთაბრძოლაში პონომაროვი უნდა ეთამაშა. როგორც 19 წლის ჩემპიონი და არაწმენს, მისი სიტყვები მთლად ლოგიკური არ იყო და მანაც უკან წაიღო თავისი წინადადება.

შემდეგ თითქმის ყველაფერი მოგვარდა. არგენტინის მთავრობა დათანხმდა შეექმნა სამაგნიტო ფონდი 1 მილიონ დოლარის ოდენობით, მაგრამ უკანასკნელ მომენტში არგენტინელებმა უარი თქვეს მაგნიტო მოჭადრაკეზე ისე, რომ მიზეზი არ აუხსნიათ.

და მაინც გასჭრა ფიდეის პრემიერ კირსან ილიუმენოვის პირადმა ავტორიტეტმა. ახლა მან დახმარებისთვის მიმართა უკრაინის პრემიერ ლეონიდ კუჩმას და ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდა. მაგნიტის საორგანიზაციო კომიტეტს უკრაინის პრემიერ-მინისტრი ფიქსორ იანუკოვიჩი უხელმძღვანელებს. საპრიზო ფონდი იგივე იქნება. მაგნიტ იალგაში გამართება სექტემბერ-ოქტომბერში და როგორც ამ ქალაქის მერი აცხადებს, მონაწილეებს იდეალური პირობები შეექმნებათ. საინტერესოა, რომ პონომაროვი ხანგრძლივად პერიოდის მანძილზე სწორედ იალგაში ემზადებოდა. იგი აცხადებს, რომ აქვს კიდევ „საიდუმლო იარაღი“ კასპაროვის დასამარცხებლად. „კასპაროვი სერიოზული მეტოქეა (!), მაგრამ მისი დამარცხება შეიძლება. მართალია, მე, ლინარსის ტურნირის პირველ წრეში მასთან წავეგე, მაგრამ მეორე პარტია ყაიმით დაგვამთავრე“. რა თქმა

უნდა, არაფერ იყოს, რას წარმოადგენს პონომაროვის ეს „საიდუმლო იარაღი“, მაგრამ ახალგაზრდა ჩემპიონის ამრით, მან კიდევაც რომ არ გაჭრას (ე. ი. პონომაროვი დამარცხდეს), კასპაროვს შემდეგ ძალიან გაუჭირდება მისთვის ისეთ უხერხულ მოწინააღმდეგეებთან, როგორც კრამნიკი და ლეკოა. ამ დავას ნუ გამოვეკიდებით. ჩვენთვის ახლა მთავარია, რომ პონომაროვი-კასპაროვის მაგნიტური ტურნირი გაიმართება.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერ იყოს, თუ რა ბედი ულის კრამნიკო-ლეკოს მაგნიტურ ტურნირში. კრამნიკის პოზიცია თავიდანვე ასეთი იყო: „მე რაგომ უნდა ჩავევლო, დეე, ყველაფერი გამოარკვეო, დაამუსტონ და მერე ვილაპარაკო“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ინიციატივა, უნგრულ მხარეს უნდა გამოეჩინა და გამოიჩინა კიდევ. აი, რა ცნობა გამოქვეყნა ინტელსურმა გამოცემამ „ლეილი გულეგრაფი“: „უნგრეთის პრემიერ-მინისტრი პეტერ მედვი აცხადებს, რომ მისი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რათა მაგნიტური ტურნირი პირველობაზე კლასიკურ ტურნირში კრამნიკსა და ლეკოს შორის ბუდაპეშტში იქნის დასაწყისში მოეწყოს“.

ეს განცხადება ბევრს ბუნდოვანდ მოეჩვენა. აქ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ არაფერ შუაში იყვნენ კასპაროვი და პონომაროვი, მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ ერთი მაგნიტური უნდა გამართულიყო და ისიც ბუდაპეშტში.

რა თქმა უნდა, აქედანდა არაფერი გამოვიდა. უნგრელებმა თავიანთი წინადადებაზე სელი აიღეს და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მაგნიტური ტურნირი ორგანიზაცია „ინტელ გრუპი“ მოაწყობს. თავის მზადყოფნაზე ეს კორპორაცია კარგა ხანია აცხადებდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მივიდა, გამოირკვა, რომ მას სათანადო თანხები, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის, არა აქვს. ერთი სიტყვით, „ინტელ გრუპი“ თამაშობს გამოვიდა. მთელ ამ ქაოსში კასპაროვი კრამნიკს აღანამაულებს, თუკა ჩემპიონი ექს-ჩემპიონის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს.

ერთი სიტყვით, თუკი ჩვენ დღეისათვის შეგვიძლია გარკვეულად ვილაპარაკოთ პონომაროვი-კასპაროვის მაგნიტურ, მეორე ორთაბრძოლის საკითხი კვლავ ბუნდოვანია. როდემდე?

გივი გამრეხაძე

წარსულის ფურცლები საქმით ქებულნი



ველი ჩემპიონის წოდება მიენიჭა, მაგრამ მალე იგი მიიმეღ დაავადდა, თითქმის ორი ათწლეული იყო მიჯაჭვული, მაგრამ, როგორც შეილება ისუნებენ, ბოლომდე დიდი გულსყურით აღევნებდა თვალს ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებას. დასასანია, რომ ელენე მაუგაშვილმა ბოლომდე ვერ შეძლო ბუნებისგან მომადლეული საჭადრაკო ნიჭის რეალიზება.

მამრემკვებო საუბარს XX საუკუნის 20-40-იანი წლების ცნობილ მოჭადრაკეებზე. ამჯერად ამავიან ქალბატონებზე.

ელენე მაუგაშვილი

1926 წლის გაზაფხულზე თბილისში ჰადრაკისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. ამ დროს ენთუზიასტების ჯგუფმა პირველად გაიმართა მასობრივი ტურნირი, რომელიც ჰადრაკის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. საასპარეზოდ მიწვეული იყო თამაშის მცოდნე ყველა თბილისელი... თავიანთი ჰადრაკით. მოგვსენებთ, მაშინ ჰადრაკის კომპლექტების დიდი დეფიციტი იყო.

ტურნირში მონაწილეობის მსურველი 600-მდე მოყვარული აღმოჩნდა. შეჯიბრება, რომელიც ოლიმპიური სისტემით მოეწყო, რადენიმე დღეს მიმდინარეობდა. ქალთა პაექრობაში ყველას აჯობა დიასახლისმა ელენე მაუგაშვილმა (1888-1948), ვაჟებში - 16 წლის მოსწავლემ პენრის კასპარიანმა (1910-1995), შემდგომში საერთაშორისო ოსტატი და კომპოზიციის პირველი დოქტორი ეგოლეშვილი.

ელენე მაუგაშვილი ჰადრაკის თამაშს (1908) ვენის (ავსტრია) უნივერსიტეტში სწავლისას დაეუფლა. თბილისში დაბრუნებულს, ორი შეიღის დედას, პაექრობა უხდებოდა მინ, ნაცნობ-მეგობრებთან. მან შეიღეიყ ამიარა ჰადრაკის საიდუმლოებას. ამ ტურნირში გამარჯვებისთვის ელენე მაუგაშვილს თბილისის პირ-

ბული საჭადრაკო ნიჭის რეალიზება. მამრემკვებო მამრემკვებო

მის(მამრემკვებო) ტურნირში მეორე ადგილი წილად სედა ვარვარა მარგარიანს (1895-1953), რომელმაც მთელი ცხოვრება ჰადრაკს მიუძღვნა. იყო თბილისის (1928, 1929, 1935, 1938, 1949, 1951 წ.წ.) და საქართველოს (1938, 1939 წ.წ.) ჩემპიონი. მარგარიანმა პირველმა საქართველოდან მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის (1945 წ.) ჩემპიონატში.

ნიჭიერი მოჭადრაკე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1936-1941 წლებში იგი თბილისის ჰადრაკის კლუბის დირექტორი გახლდათ. დიდად მრუნავდა ნორმ მოჭადრაკეებზე მაგალითად, მან გაგვიწია რეკომენდაცია ა. ბლაგოვის, ო. თურქესკანიშვილს, მე და სხვებს, რომ ვ. გოგლიძის სკოლაში მივედეთ.

50-იანი წლების დამდეგს, როცა სარბიელზე ელისო კაკაბაძე და სხვები გამოჩნდნენ, ამავადარი ქალბატონი ამბობდა: „ახლა მჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეები დიდი ჰადრაკის მარაგებზე გავლენ, ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი საქმე!“. ეს სიმართლე აღმოჩნდა.

თენგიზ ბიორგაძე.

სურამში: (მარცხნიდან) ვ. მარგარიანი, მ. ადამიანი, ოსტატი ნ. სოროკინი, ი. გაბაიონი, ე. მაუგაშვილი (თბილისი, 1926 წ.).

ნიჭის თარო

ნანატრი კრეხული



ამ კრეხულს თითქმის ნახევარი საუკუნე ელოდნენ საჭადრაკო კომპოზიციის სპეციალისტები და მოყვარულები. საუბარია გამოჩენილი ქართული საჭადრაკო კომპოზიტორი

რის ალექსანდრე დობორჯინიძის (1902-1950) შემოქმედებისადმი მიძღვნილ პირველ წიგნზე, რომელიც ახლახან დასტავდა გამოცემლობა „დედაქანა“ 500 ეგზემპლარის გრაჟით. კრეხულის ავტორები არიან თენგიზ ბიორგაძე და დავით გურგენიძე. ბუნებრივია, ვიკითხოთ: ასე რაგომ დაგვიანდა კრეხულის გამოცემა? ა. დობორჯინიძე შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში იყო, როცა 1950 წლის მაგისტრის ვერაგულად მოკლეს ბოროტმოქმედებმა. თენგიზ ბიორგაძე, რომელსაც პირადად ურთიერთობა ჰქონდა განსვენებულთან, იხსენებს, რომ მაშინვე გადაწყვიტა პრობლემისგან ნაწარმოებთა წიგნის შექმნა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა მი-

სი ამოცანების შეკრება, მით უმეტეს, რომ კომპოზიტორის არქივი ხანძრით განადგურებული აღმოჩნდა. დობორჯინიძის დაახლოებით 140-150 ამოცანა ჰქონდა შეთხზული და სსრ კავშირსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული. გიორგაძემ მხოლოდ 60-მდე ამოცანას მოუყარა თავი.


2000 წელს, როცა ა. დობორჯინიძის დაბადებიდან 100 წლისთავი მოახლოვდა, დავით გურგენიძემ მხარში ამოუდგა უფროს მეტობარს და მალე საერთო ძალისხმევით მოძიებულ ამოცანების რაოდენობამ ასს გადაჭარბა, ცხადია, წიგნის გამოცემაც დაჩქარდა.

კრეხულშია ა. დობორჯინიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი

მიძღვნილი მასალები. აღწერილია ცხოვრების გზა. თენგიზ ბიორგაძის მოჭადრაკეობის ხელმძღვანელი კომპოზიტორის პიროვნებაზე და მის გრაჟიკულ დასასრულზე. დიდი პრობლემისგან შემოქმედებაზე საუბრობენ დიოდოსტატი იოსებ კრიხელი და ფილოსოფიის პროფესორი, პრობლემისტი ოთარ ტაბიძე. წიგნის ძირითად ნაწილს, რა თქმა უნდა, ა. დობორჯინიძის ამოცანები (104) შეადგენს. არის ფოტოსურათებიც.

ა. დობორჯინიძეს დიდი სახელი ჰქონდა მსოფლიოში, ამიტომ კრეხული ყველასთვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, ავტორებმა შეგნებულად გამოსცეს იგი რუსულ ენაზე.

უღაგოა, რომ ამ კრეხულის გამო-



ცემით საგრძნობლად გამდიდრდა ქართული საჭადრაკო კომპოზიციის ბიბლიოთეკა, გაკეთდა საშვილიშვილო საქმე.


მარგარიანს ტრაპიკი.

ალექსანდრე დობორჯინიძე


„ზადარი ი ეტიუდი“ III პერიოზი 1930.



„ზახვატი ვ სსსრ“ V პერიოზი 1937.



„ზახვატი ვ სსსრ“ 1939.



საპაპვირო კონკურსი II პერიოზი 1940.



„ზახვატი ვ სსსრ“ I პერიოზი 1936.



კომპოზიცია

პროგრამული ეტიუდები


„სამყაროსა და ადამიანის არსებობის პირობა შემოქმედებაა“. ფრიდ პოლი.

სამბიულო ხელოვნება იმდენად ღრმადაა თავისი შინაგანი ბუნებით და იმდენად მდიდარია თავისი გამომსახველობითი ხერხებით, რომ მისი საშუალებით პირობითად მრავალი საზოგადოებრივი, ისტორიული, მეცნიერული და სხვა მოვლენა შეიძლება ასახოს. ხშირად საჭადრაკო ეტიუდი წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის საჭადრაკო ინტერპრეტაციას. ამ მხრივ საჭადრაკო ხელოვნება თავისებურ მეტოქეობას უწევს ხელოვნების ისეთ დარგებს, როგორებიცაა: მუსიკა, მხატვრობა, ლტერატურა, პოეზია და სხვა.

ამოსხნა: 1. კა3! ქფ5! 2. ა7 კა7 3. კე5კე4 4. ხ8ლ! მფე6 5. ლფ8! მფე5 6. ლფ3! მფდ5 7. ლხ3! მფდ6 8. ლხ8 მფდ6 9. ლფ8 და როგორც ვხედავთ, ლამიერი მოძრაობის ჩაკეტილ თარიღებზე ფინალში შავი ფიგურების განლაგება სიმბოლურად ასახავს ჩვენს პლანეტას, წრეზე მოძრაობის თეორიის ლამიერი კი „ხელოვნური თანამგზავრია“. რაც შეუძლებელია მეცნიერებაში, მოგვცერ შესაძლებელია ხელოვნებაში.

მუდმივი საპატიო მუქარა „მუდმივი ძრავის“ არსებობის პირობაა. მოსკოველმა ეტიუდისგმა აბრამ გურვიმმა შექმნა ეტიუდი, რომელიც სიმბოლურად „მათემატიკურ ქანქარას“ განასახიერებს მუდმივი რხევის ამპლიტუდით.


ბ. გურვინი, 1927 წ.



შანი

1. მე4! ლხ2 2. ეფ5 მფ8! 3. ქფ5 მფე8 4. ქფ5! ლხ2 5. ლხ5 ლხ2 6. ლხ5 და როგორც ვხედავთ, „საჭადრაკო ქანქარა“ მუდმივ მოძრაობაშია.

3. კალანდაძე, 2000 წ.




შანი

დასასრულს, ამოსახსნელად გთავაზობთ ეტიუდს, რომელიც „მინი კარუსელის“ საჭადრაკო ინტერპრეტაციაა.

ველიმირ კალანდაძე, საერთაშორისო ოსტატი.


8. ნადარეიშვილი, 1970 წ.



შანი

1. გ7 მფ7 2. კე8! მფფ8 3. კე6! ლა5! 4. კე5 ლდ8 5. კდ6! ლფ5 6. კე5! ლდ2 7. კდ4! მუდმივი მოძრაობით! როგორც ვხედავთ, თეთრ კუთა

ა. კუხნიცოვი, ბ. სახაროვი, 1959წ.



შანი

მსოფლიო პაიკებით

ბოგოლიუბოვი ერთ ქალაქში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. გავედრა სულ რაღაც ნახევარი საათი და ერთ-ერთი მეტოქე უკვე დანებდა დილოსტატს. — თქვენ ძალიან საინტერესოდ თამაშობდით, — უთხრა ბოგოლიუბოვმა მოწინააღმდეგეს, — მაგრამ, ერთი ეს მიზრძანეთ, რატომ აკეთებდით ყველა სვლას მსოფლიო პაიკებით? მოწინააღმდეგე გაწითლდა. — საქმე ისაა, რომ მე ჰადრაკის თამაში არ ვიცი. მაგრამ თქვენთან შესხედრა ძალიან მინდოდა და ერთადერთი, რისი დასწავლაც მოვახერხე, პაიკებით სვლა გახლდათ.

დიდოსტატი და მძლეოსანი

დიდოსტატი ბორის სპასკი მრავალმხრივი სპორტსმენი გახლავთ. ახალგაზრდობაში მას დიდი წარმატებები ჰქონდა მძლეოსნობაში. ასე, მაგალითად, სიმბაღლე-ში ხტომაში სპასკის შედეგი იყო 180 სანტიმეტრი. ლენინგრადელი მწვრთნელები მისგან დიდ წარმატებებს მოელოდნენ, მაგრამ თვლიდნენ, რომ მას ძალიან უშლიდა ხელს... ჰადრაკი.

აქეთური, იქეთური

დამოკიდებულება შეიცვალა

როდესაც ფიშერმა რევიკიავიკში მაგჩი მოიგო, მას სხვედრით ერთად მიულოცა აშშ-ს ელჩმა ისლანდიაში ჩარლზ ბრეიმ. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ, როდესაც ფიშერი მაგჩის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე არ გამოცხადდა, ელჩმა სურვილი გამოთქვა „საკუთარი ხელით მიეხრათ ეს სალახანა“.

50 ათასი გირვანქა სტერლინგი და... 50 დოლარი

რამა სპასკი-ფიშერის მაგჩის ხარჯები დაეფარა, ისლანდიის ჰადრაკის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ სიამოვნებით მიიღებდა შეწირულ ფულს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. როგორც ცნობილია, ამ მხრივ, ორგანიზატორებს ყველაზე მეტად ინგლისელი ბანკირი სლეიკერი დაეხმარა, რომელმაც ისლანდიელებს 50ათასი გირვანქა სტერლინგი უზღვრავდა. მაგრამ იყენენ სხვა უზარა გულშემოგებებებიც, რომლებიც ისლანდიელებს დაეხმარნენ, რითაც შეეძლოთ. მაგალითად, ერთი პირობითი გულშემოგებარმა, რომელმაც გარე არ გაამხილა, 50 დოლარი გაგზავნა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტები წერდნენ, რომ შეიძლება იმ ანონიმური გულშემოგებარისთვის 50 დოლარი უფრო მეტი ფულია, ვიდრე სლეიკერისთვის 50 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ნენ, რითაც შეეძლოთ. მაგალითად, რომელიღაც ეთიოპელმა გულშემოგებარმა, რომელმაც გარე არ გაამხილა, 50 დოლარი გაგზავნა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტები წერდნენ, რომ შეიძლება იმ ანონიმური გულშემოგებარისთვის 50 დოლარი უფრო მეტი ფულია, ვიდრე სლეიკერისთვის 50 ათასი გირვანქა სტერლინგი.

დანაკლისი გერ შენიშნა

უსსრ-ში ერთ-ერთი მოგზაურობის დროს სალო ფლორს რთულ პირობებში მოუხდა ერთდროული თამაშის სეანსის გამართვა. დაფიქრებულად არასრული კომპლექტები დააწყეს, რომელთაც ხან რა აკლდათ და ხან — რა. ამ ფიგურების ნაცვლად დაფიქრებულად ასანთის ღერები, დილები, ქაღალდის ნაგებობები და ა. შ. შუა თამაშის დროს დილოსტატმა ერთ-ერთ მეტოქეს პკითხა: „სად არის, ბოლოსდაბოლოს, ჩემი ლამიერი?“ „თქვენი ლამიერი? — უპასუხა მეტოქემ — მე იგი კარგა ხანია, მოკალი. ის სომ დილი იყო!“ „აჰ, დილი, — წამოიძახა დილოსტატმა, — დილი კი მე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი“.

„ნტნ“-ში

„ნონას თასის“ მამდიბელები

მარტივად საჭადრაკო კლუბ „ნტნ“-ში მიმდინარეობს ფესტივალი „ნონას თასი“. ეს ღონისძიება, საქართველოს ოლიმპიური ფონდის და კლუბ „ნტნ“-ის ინიციატივით, წლეულს მეორედ იმართება და როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, ის გრადიციული გახდება. ფესტივალის რვა ასაკობრივი ტურნირის თაობაზე „ლაზიერის“ წინა გამოშვებებში ვწერდით. იქ გამარჯვებულებმა ვაჭარა და ქალთა შესარჩევ ტურნირში თამაშის უფლება მიიღეს. ამ ტურნირებმა კი ფესტივალის მთავარი ტურნირის მონაწილეთა ვინაობა უნდა გაარკვიოს. მასში დაგეგმილია 8 მოჭადრაკე ქალის და 8 მოჭადრაკე ვაკის მონაწილეთა. ქალთა ტურნირში პერსონალურად მოწვევები არიან ნონა გაფრინდაშვილი, მათა ჩიბურდანიძე და საქართველოს ჩემპიონი ნინა ძაგენიძე; ვაკეთა ტურნირში თამაშობენ მურაბა ამშიაფარაშვილი და საქართველოს ჩემპიონი ბაბაღურ ჯობაჯა.

ვაჭარა შესარჩევი ასპარეზობა, რომელიც მთავარი ტურნირის ექვს მონაწილეს დაასახლებს, 6-7 სექტემბერს გაიმართება. რაც შეეხება ქალებს, აქ უკვე ყველაფერი გაირკვა. ფინალის ხუთ საგზურს 33 მოჭადრაკე, მათ შორის 5 დილოსტატი და 6 საერთაშორისო ოსტატი, ეცილებოდა ერთმანეთს. ამჟამად იყო ნინო ხურციდის უპირატესობა, რომელმაც 8 პარტიაში იმარჯვა, ერთი ყაბით და ამითავრა და პირველი ფულადი პრიზი დაიმსახურა. 7 ქულით მეორე ადგილზეა სოფიკო გვევაძე. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მათა ლომინიძე, ანა მათნაძე და სოფიკო ნიკოლაძე. ამ ხუთეულმა მთავარ ტურნირში გამოსვლის უფლება დაიმსახურა. დაწესებული იყო ორი ასაკობრივი პრიზი, რომელიც მაკა ფურცლაძემ და სოფიკო გურამიშვილმა მიიღეს.

კობა ღვინიაძე.

კონკურსში გაიმარჯვა

ნიჭის ახალი წახნაგი

ყველასთვის ნათელია, რომ ქართულ ჰადრაკს პაერივით სტირდება პიროვნებები, ვინც ფუნქციონირის მეტად მძიმე და ხშირად დაუფასებელ გვირგვინს იკისრებს. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს უფროსი გოგი ქელბაქიანი რამდენიმე წელიწადია, რაც იმერეთის ჰადრაკის რეგიონულ ფედერაციას თავაყობს. დიდი საჭადრაკო გრადიციების მქონე იმერეთში რა გამოლევს ნიჭიერ გოგობიჭებს. მათ დაკავალანებას და დაფორტიანებას მწვრთნელებთან ერთად საჭადრაკო ორგანიზატორის გამჭრიახი და უნარიანი ხელი სჭირდება. „ლაზიერის“ ფურცლებზე ხშირად ვწერთ იმ ნოვატორულ საქმეებზე, რაც იმერეთის ფედერაციის და, კერძოდ, გოგი ქელბაქიანის დამსახურებაა. შარშან ბატონი გოგი საქართველოს ჰადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ამ დღეებში გოგი ქელბაქიანმა




თავისი მრავალფეროვანი ნიჭი ახალი წახნაგით წარმოაჩინა. მან გაიმარჯვა საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ მერილენდის უნივერსიტეტთან არსებული აირის ცენტრის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ კონკურსის ნომინაციონში. ამა დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს მოგადი აღმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების დანერგვაში.“ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება კონფერენციამ, რომელიც ამა წლის სექტემბერში მოეწყობა. ვულოცავთ გოგი ქელბაქიანს და წარმატებებს ვუსურვებთ მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში.

დემი ბარათელი.

ამოცანა

შეამოწმეთ ძველი, ამოხსენით ახალი

მთავარმოთ „ლაზიერის“ წინა გამოშვებაში გამოქვეყნებულ საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნას. სამსვლიანი ამოცანის გადაწყვეტა 1. ლფ8! პოგოსიანის ეტიუდი ლამიერის შეწირვით იხსნება. 1. ლე8 მფე8 2. ადლ მფდ7 3. ლე8 მფდ7 4. ლფ8. იმედა, ჩვენს მკითხველებს არც ი. კნოპელის კლასიკურ ამოცანაში გარკვევა გაუჭირდებათ.



შაბათი საღ სვლაში.

სარედაქციო კოლეჯია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნინო გურგენიძე, გურამ ამაზრავაძე, ნანა ალექსანდრია, ანდრო ბასილია, გივი ბამრაქაძე, ნონა ბაზრინაძე, თინათინ გომრეჯიანი, გუსუბი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

